საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 233/02-06
08/07/2021

233-02-06-4-202107081826

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერი თანამშრომლის, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის #FR17-354 გრანტის ძირითადი
პერსონალის ალექსანდრე კვინიხიძის ტენესის უნივერსიტეტში (აშშ)
მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის #220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის #135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ,,ო" და ,,პ" ქვეპუნქტების თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის #12/04 ერთობლივი ბრძანების, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის #FR17-354 გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ჯამბულ გეგელიას 2021 წლის 07 ივლისის #8958/10-02 განცხადების (ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას თანხმობით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს 2021 წლის 11 ივლისიდან 2021 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით, ტენესის უნივერსიტეტში (აშშ) სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის #FR17-354 გრანტის ფარგლებში ფიზიკის და ასტრონომიის დეპარტამენტში სამუშაო ვიზიტით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ამავე გრანტის ძირითადი პერსონალი ალექსანდრე კვინიხიძე.
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს გასცეს **26113.04** ლარი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის #FR17-354 გრანტის მივლინებისათვის გამოყოფილი თანხებიდან (დანართი #1).
3. ალექსანდრე კვინიხიძე, როგორც სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მივლინებული იქნეს ხარჯების ანაზღაურების გარეშე.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

4. დაევალოს, ალექსანდრე კვინიხიძეს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და სამივლინებო ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე.
5. დაევალოს კანცელარიას ბრძანების გადაცემა დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის.
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის №FR17-354 გრანტის ძირითადი პერსონალის ალექსანდრე კვინიხიძის ტენესის უნივერსიტეტში (აშშ) მივლინების ხარჯთაღრიცხვა

1. **მგზავრობის ხარჯი : (გადახდის დამადასტურებელი საბუთი) – 4091.30 ლარი**
2. სადღეღამისო ხარჯი:

   30 დღე X 60 აშშ დოლარი X 3.1370 ლარი = **5646.60 ლარი.**

3. ბინის ქირავნობის ხარჯი:

   29 დღე/ღამე X 180 აშშ დოლარი X 3.1370 ლარი = **16375.14 ლარი**

სულ – **26113.04** ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: ი. საღარეიშვილი